საქართველო

საქართველოს დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა: თბილისი, რუსთაველის პროს. № 11. რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფონი № 15—73.
მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი, „საქართველო“. ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი: განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 25 მ., მე-4 გვერდზე—20 მ. სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—1000 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 300 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა: გაზეთი „საქართველო“ ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—800 მან. ცალკე №—50 მან.

ფასი 50 მან.

წელიწადი მეშვიდე. | კვირა, თებერვლის 6. 1921 | № 28

ღრმათ დამწუხარებული: მეუღლე იესე ალექსანდრეს ძე ბართაშვილი, დედა ნინო ივანეს ასული, მამა კონსტანტინე იოსების ძე, ძმა ვიქტორი კონსტანტინეს ძე, რძლები პროსკოვია პეტრეს ასული ნადეჟდა ნიკოლოზის ასული და ძმისწული ნინუსია სვიმონიშვილები დედამთილი ანასტასია ალექსანდრეს ასული და მაზლი ნიკოლოზ ბართაშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის თავი უდროვოთ გარდაცვლებული დაუვიწყარი საყვარელი და ძვირფასი

ელენე კონსტანტინეს ასულის ბართაშვილის

სულის მოსახსენებლათ კვირას 6 თებერვალს დილის 11 ნახ. საათ.

4—3428—4

ღრმად დამწუხრებულნი, დავზარდაცემულნი ელისაბედ, ეფემია და ნინო ბესარიონის ასულნი და პლატონ ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ პარასკევს, 4-ს ამა თებერვალს, გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი ძმა

დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე (პეტრე დიდის ქუჩა, სახლი № 22. ბინა № 1). რკინის გზის სადგურზე გამოსვენება ორშაბათს 7-ს ამა თებერვალს დღის 12 საათზე, დაკრძალვა ქუთაისში წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში, 9 თებერვალს.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე დარია ილიას ასული, შვილები: გიორგი, სვიმონ და ალექსანდრე ნიკოლოზის ძენი, რძალი ვერა აბრამის ასული და შვილიშვილი ნინო აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ პარასკევს, 4 თებერვალს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

დეკანოზი **ნიკოლოზ გიორგის ძე ნათიძე (მელანია)**

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაზე იზმაილოვის ქუჩა სახ. № 11 დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

1—3446—1

ღრმად დამწუხრებული ეფროსინე იაკობის ასული ჰეჟენიძისა შვილებით და შვილიშვილებით აუწყებს ახლობელთ და ნაცნობთ, რომ 4 ამა თებერვალს გარდაიცვალა მისი საყვარელი და დაუვიწყარი დეიდაშვილი

დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი

რესპუბლიკის სენატის თავმჯდომარე

1—3039—1.

გრიგოლ ყაისარის ძე და ეკატერინე ივანეს ასული გორდელაძეები პატარა ქალით თინიკოთი და ნინო ივანეს ასული ბოძიევისა უღრმესად მადლობას უძღვნის ყველა იმ პირთ, რომელთაც პირადი დასწრებით, ან წერილობით ანუგეშეს მწუხარებასა შინა მყოფი მშობლები და დეიდა საყვარელი შვილის

პატარა რეზიკოს

გარდაცვალების გამო.

ღრმად დამწუხრებულები: მამა ვასილი ლუარსაბის ძე, დედა ანნა ივანეს ასული, ძმა ალექსი ვასილის-ძე და ნატალია ვასილის ასული და რძალი ალექსანდრა ნიკოლოზის-ასული ზედგინიძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ორმოცი დღის პანაშვიდი უდროვოთ გარდაცვლებულ ძვირფასი და დაუვიწყარი, სანაპირო რაზმის ლეიტენანტი

ივანე ვასილის-ძე ზედგინიძის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება კვირას, 6 თებერვალს, საღამოს 5 საათზე ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში.

1—3442—1.

ა. წ. 4 თებერვლის 4 ს ხან მოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძმისწული

შოთა პეტრეს ძე კარბელაშვილი

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს ძმანი დეკანოზნი და მღვდელნი: ანდრია პოლიექტოს, ვასილი, გიორგი და ფილიმონ კარბელაშვილები ოჯახითურთ. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე მატინოვის ქ. ს. № 6. 7 თებერვალს დილის 10 საათზე გასვენება ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში და წირვის შემდეგ აქვე დაკრძალვა.

1—3480—1.

---

4 ს ამა თებერვალს გარდაიცვალა საქართველოს სენატის თავმჯდომარე

დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი.

რასაც საქართველოს სენატი ღრმა მწუხარებით აუწყებს რესპუბლიკის სასამართლო დაწესებულებათ და საზოგადოებას. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, განსვენებულის ბინაზე, პეტრე დიდის ქუჩა, № 22; რკინის გზის სადგურზე გამოსვენება ორშაბათს, 7 თებერვალს, დღის 12 ს., დაკრძალვა ქ. ქუთაისში, წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში 9 თებერვალს.

(2—5445—1)

საქართველოს ნაფიც ვექილთა საბჭო გულითადი მწუხარებით აუწყებს რესპუბლიკის მოქალაქეთ სენატის თავმჯდომარის

დავით ბესარიონის-ძე ხელთუფლიშვილის

გარდაცვალებას.

ქალაქის არჩევნებისათვის საქართველოს დემოკრატიული პარტიის მოწოდება

გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრ., ეროვნული, რადიკალ. დემოკრატიული და უპარტიოთა კავშირი.

თბილისის ხმოსანთა არჩევნები სასწრაფოდ ინიშნება. სიები შედგენილია უწესოდ. აუარიბელი ამომრჩეველნი გამოტოვეს სიებიდან. სიების შესწორებაც მხოლოდ 2 თებერვლიდან 5 თებ. შეიძლება.

მოქალაქენო! გამოიჩინეთ შეგნება და საქმის ინტერესი. გადაათვალიერეთ სიები, შეიტანეთ თავის თავი და აგრეთვე თქვენი ოჯახის წევრნი და ნაცნობ-მეგობარნი. სიების გაცნობა და ვინც გამოტოვებულა იმათი შეტანა შეიძლება 2—5 თებერვლამდე დილის 9 ს. საღამოს 9 ს შემდეგს პუნქტებში.

1 საკომისარიატოში—ოლღას ქ. № 52 ქალაქის სასწავლებელი. 2 კომ.—საპოირის შესახვ. 3—ცენტრალ. საარჩევ. ბიურო., 3 კ.—ბებუთოვის ქ. ქალთა მე 3 გიმნაზ. 4 კ.—ეგზარხის მოედანი სახელ. სასწ. 5 კომ.—ვორონცოვის ქ. ქალაქის სამკურნალ. 6 კ.—რეიტეროვის ქ. № 63 ნადიკტინის თავშესაფ. 7 კ.—ავლაბრის მ. კლუბი. 8 კ. 1 კამერც. სასწავლებ. ნიკოლოზის ქუჩაზე. 9 კ.—ჩერქეზიშვილის ქ № 29 ქალაქის კოლაში 10 კ.—კირკის ქ. სახალხო სახლი 11 კ.—ნაძალადევის თეატრი 12 კ.—შერემეტევის ქ. რკინის გზის სასწ. 13 კ.—საბურთალოს თეატრი.

გამორჩენილთა სიაში შესატანად საჭირო დოკუმენტები: არა ქართველთათვის—პასპორტი ან სხვა დოკუმენტი, 1914 წლის 19 ივლისამდე რომელიმე ერთეულზე მიწერილობა (სასოფლო საზოგადოება, მეშჩანთა, ხელოსანთა, ცეხებ სასულიერო ან თავად-აზნ. წოდებაზე) ქართველთათვის—თბილისში ცხოვრების და წლოვანობის.

რესპ. ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა ახდენს რესპუბლიკაში ომში

დაჭრილ-დასახიჩრებულთა სრულ აღწერას

რისთვისაც საჭიროა

ინსტრუქტორები

ყველა მაზრებისთვის, გარდა ზუგდიდისა

ჯამაგირი მიეცემათ თვიურათ 40.000 მან. წარმოდგენილი უნდა იქნას საიმედოების საბუთები პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან. ინსტრუქტორი უნდა იყოს იმ მაზრის მცხოვრები, რომელშიც მუშაობას იკისრებს. ცნობების მიღება სწარმოებს ყოველ დღე ქ. თბილისში, პლეხანოვის პროსპ. № 139 სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ.

გამგეობა.

სახელმწიფო დრამის თეატრი

ხუთშაბათს, თებერვლის 10-ს — პრემიერა!

„სამშობლო“ 2 და 7 სურათი

მონაწილეობს მთელი დასი. ახალი დეკორაციები მხატვარის გალ. სიდამონ-ერისთავისა. — რეჟისორი ალ. ახმეტელი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. — ბილეთები კასაში.

რესპ. ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის მიერ შედგენილი გამოვა ა. წ. 10 თებერვლამდე

წლიური კედლის კალენდარი

სუფთად და ფართო სქელ ქაღალდზე დაბეჭდილი და დასურათებული ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა ცხოვრების ეპიზოდებით

დაკვეთა შეიძლება კავშირის ბინაზე პლეხანოვის პროსპექტი, № 139.

გამგეობა.

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

კვირას, თებერვლის 6-ს

საქართველოს იურიდიულად დამოუკიდებლობის ცნობის აღსანიშნავად

საზეიმო წარმოდგენა

1. სიტყვა ს. დევდარიანისა. 2. რაც გინახავს, ველარ ნახავ—კომედია ა. ცაგარლისა 3. დენშჩიკის ბრალია (რუსულად). 4. ცოცხალი სურათი წარსულიდან. 5. აპოთეოზი—დამოუკიდებელი საქართველო. სიმფონიური კონცერტი ნ. გველესიანის. ლოტბარობით შეასრულებს ეროვნულ ჰიმნებს და სხვა მუსიკალ ნაწარმოებს.

სამშაბათს, თებერვლის 8-ს — მეორედ

გერდო-ზმანია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები პროფესიონ. კავშირთა საბჭოში.

სახელმწიფო ოპერა

კვირას 6 თებერვალს — საზეიმო წარმოდგენა
ბილეთებს ანაწილებს მუშათა მაგიდა.

ორშაბათს, 7 თებერვალს — **ტრავიატა**

სამშაბათს, 8 თებერვალს — **დონ-ჟუანი**

ოპერის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

მეორე ქართული კლუბი

აცხადებს წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოთ, რომ საწევრო გადასახადი, თანახმად საზოგადო კრების დადგენილებისა, არის 300 მან. და კანდიდატთა—500 მან. ვინც ამ გადასახადს არ შემოიტანს 15 თებერვლამდე

გადახდება 300 მანეთი ჯარიმა.

—110—2—1.

განცხადება

კვირას, 6 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ, მთავრობის თავმჯდომარე მიიღებს სასახლეში მილოცვას უცხოელ წარმომადგენელთაგან—საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულად ცნობის გამო.

(შესავალი სამხრეთ კარებიდან).

კვირას, 6 თებერვალს 1921 წელს მწერალთა სასადილო „არმაზში“ გაიმართება

დიდი საზეიმო საღამო

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის კულტურულ-განმანათლებელ განყოფილების ნივთიერ საშუალებათა გასამდიდრებლად

შემდეგი პროგრამით:

1) სიმფონიური ორკესტრი შეასრულებს ქართულ პიესებს.
2) კინემატოგრაფით აჩვენებენ ისტორიულ და კომიკურ სურათებს.
3) ეროვნული გუნდი შეასრულებს ქართულ სიმღერებს.
4) ცნობილი მომღერალნი შეასრულებენ ქართულ და ევროპიულ რომანსებს.
5) ბალეტის არტისტები იცეკვებენ რჩეულ ნუმერებს თავიანთ რეპერტუარიდან.
6) ამა გაზრდა მგოსნები წარმოსთქვამენ დღის შესაფერ ლექსებს.

ღამის თორმეტ საათზე გაიხსნება დიდი საზეიმო დღის შესაფერი საგანგებო სხდომა სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარის ვ. ჯუღელის სიტყვით.

ეროვნული გუნდი შეასრულებს ქართულ გიმნს და ინტერნაციონალს, რის შემდეგ დაიწყება საზოგადო მოლხენა.

3—28—1.

მთავარი კონტორა

ფირმა

დ. ზ. სარაჯიშვილისა

გამოსულია გასასყიდათ ჰურის სუფრის ღვინო და ჭაჭის არაყი.

2—3 431—1.

საყურადღებოდ

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა

აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ მან გახსნა ფეხსაცმელების სახელოსნო (ორბელიანის ქ. ტელეგრაფის ჩიხი № 4 ინვალიდების სახლში).

ფასები ძლიერ დაკლებულია.

დანაკვეთის დროზე ასრულებისა და საქონლის ხარისხისათვის სრული პასუხისმგებელია კავშირი.

7—12—5

გამგეობა.

დღეს, თებერვლის 6-ს დილის 11 საათზე გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში (რუსთაველის ქ. № 11)

დანიშნულია **საქართველოს დემოკრატიულ პარტიის**

(ეროვ. დემოკ. ეროვნული, რად. დემოკრ. და უპარტიოთა) წევრთა და თანამოაზრეთა

საზეიმო კრება

სიტყვებს წარმოსთქვამენ: ბ-ნ სპ. კედია, გრ. ვეშაპელი, გ. გვაზავა, შ. ქარუმიძე, და ი. მაჭავარიანი. დამსწრენი მთავარ კომიტეტთან ერთად გავლენ საერთო ზეიმზე, რომელიც გაიმართება საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო.

იჯარა, ყიდვა, მოწყობა, გახსნა და მოწესრიგება.

მოსახლეობისა, სადგურებისა, მინდვრებისა, ფერმებისა და სხვა, ფაბრიკა-ქარხნებისა, სამრეწველო დაწესებულებათა, სახლოსნოთა, მაღაზიებისა, სარდაფებისა, კონტორებისა და სააგენტოებისა.

აწარმოებს:

ტეხნიკურ მუშაობას, ბითუმით და ნაჭრობით, საკომისიო ვაჭრობას, სამშობლოს საქონლებისას, უცხოეთის ნაწარმოებისას, და სახლშიც სახმარ ნივთებისას.

ღებულობს.

წარმომადგენლობასა და რწმუნებულობას.

სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო სამრეწველო და შრომის

არტელი.

(წესდება დამტკიცებულია თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ 1920 წ. დეკემბრის 28-ს № 110,068.) ველიამინის 1, მაღაზ. ს. ი. ტოგანეზოვისა; დეპეშისათვის: თბილისი „პროტრუდა“, კონტორა ღიაა 10—3 საათ.

გამგეობის თავმჯდომარე: ფ. ბ. ახუნდოვი, საქონლის ოპერაციის წარმოების ზედამხედველი, გამგეობის წევრი: ა. ს. აგაზოვი. ინფორმაციის და ორგანიზაციის ზედამხედველი გამგეობის წევრი ა. ს. მელიქ სარქისიანცი. ბუღალტერიის და კორესპონდენციის გამგე, გამგეობის წევრი პ. ზ. როსტომაშვილი. მოლარედ გამგეობის წევრი ხ. მ. კაჯარი.

განცხადება

მიწათმოქმედების სამინისტროსთან არსებულ შინა მრეწველობის მუშტაიდის ბაღის განყოფილების საწყობში მიღებულია გასაყიდად

დალესკინის ნაგდები, ნახევარ შუბები და ვალენკები ფასები ზომიერია.

საჭიროა გამოცდილი

მოანგარიშე

აბაშის სავაჭრო-სამრეწველო ბანკი „ოდიშისთვის“. ცნობისათვის მიმართონ: აბაშაში თ. მ. ძველაიას. სასურველია curriculum vitae გამოიგზავნოს ადრესით. 3—3

ბრწყინვალე დღე!

დღეს საქართველო ზეიმობს! დღეს ქართველი ერი დღესასწაულობს თავისი ნაციონალურისა და სახელმწიფოებრივი მისწრაფების დაგვირგვინებას, რაიც გამოხატა მოკავშირე სახელმწიფოების მიერ საქართველოს იურიდიულად ცნობაში.

ჩვენ მეტად შეეჩვიენით დიდ მოვლენებს: უკანასკნელი სამი წლის მანძილზე უდიდესი მნიშვნელობის ფაქტები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებიან, პირველხარისხოვანი მოვლენანი ერთიერთმანეთს თითქმის გამუდმებით მისდევენ, ხოლო ჩვენი ფსიქიკა და აზროვნება ვერ ერევა მათ, ვერც ერკვევა და, მაშასადამე, ვერც ჯეროვნად აფასებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქართველ ხალხს ბევრს სასიხარულო დღესასწაულებში მიუღია მონაწილეობა, მაგრამ ვინ არ იცის, რომ დღევანდელს ზეიმს მაინც სხვა არ შეედრება! მთელი სამი წლის განმავლობაში ქართველი ხალხი საოცარის მოთმინებით მოელოდებოდა იმ აქტს, რომელიც საშუალებას მიანიჭებდა საქართველოს სახელმწიფოს მთელის შინარსით მოექცეოდა კულტურულ სახელმწიფოთ რიცხვში, როგორც უფლებამოსილი თანაბარი წევრი. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ამ აქტის შეუსრულებლად აღდგენილი საქართველო ვერ შესძლებდა განევითარებინა სახელმწიფოებრივი შემოქმედება და ვერც წინაღუდგებოდა შესაფერისი ღირსებითა და მორალურ-პოლიტიკური სიძლიერით იმ გარეშე ძალებს, რომელნიც დიდიდან ჩვენი განთავისუფლებისა გარს დაგვტრიალებენ მზაკვრული განზრახვებით.

ამ აქტს მოვესწარით! უეჭველია, ყოველი ქართველი იმ იშვიათ დღეს ეროვნული სიამაყით ელივსებოდა და თავს ბედნიერ ქმნილებათ ჩაითვლიდა ცის ქვეშ... და განა ასეც არ უნდა ყოფილიყო!? რამდენი თაობა ქართველობისა ჩაესვენა სამარეში ასეთი ჟამის იდუმალი ნატვრით? რამდენი ჭეშმარიტი პატრიოტის გული უზომო მწუხარებით იღაგებოდა, როდესაც რწმუნდებოდა, რომ მისი შავი ხვედრის თვალი დახუჭის გლოვის ზეწარ შემოვლებულ სამშობლოში! და ის უამრავი მსხვერპლი, რომელიც მშვიდად მეცხრამეტე საუკუნეში შეწირა ეროვნულ თავისუფლების იდეას ნუ თუ მჭერმეტყველური მაჩვენებელი არ არის იმისა, რომ თავისუფალი სამშობლოს ხილვა უნდა ყოფილიყო ნეტარ დღით ყველა ქართველისათვის! ამას შევესწარით!!!

იურიდიული ცნობა საქართველოსი თავისთავად საგულისხმოა ჩვენთვის. ამ აქტით ევროპამ დაგვანახვა, რომ კულტურული და განათლებული ხალხი მარტო იმას კი უწევს ანგარიშს რაც ფაქტად არის მის წინაშე! მოწინავე კაცობრიობა მოითხოვს ახლად აღდგენილ, თუ მოწყობილ სახელმწიფოსთან შორეულისა და ახლო წარსულის ნამოქმედარის გამოტანას მის სამსჯავროს წინაშე... ხდება, ასე ვთქვათ, ისტორიული შეფასება ერისა და სახელმწიფოს, და ეს გამოცდა, როგორც ირკვევა ყველაზე ძნელი და პასუხსაგები ყოფილა!

თქმა არ უნდა, ამ მხრივ საქართველო უნდა ჩამდგარიყო რჩეულთა რიცხვში! „მოწოდებულნი მრავალ არიან, ხოლო რჩეულნი მცირედ!“

ცხადია, შერჩევისათვის ახალი ხახელმწიფო ალჭურვილი უნდა იყვნენ ისეთი თვისებებით, რომელნიც ყოველნაირად გაამაგრებენ მათ პოზიციებს და მტრების გეგმებს ჩაჰფუშავენ...

ასეთი თვისებით წარსდგა აღდგენილი საქართველო კულტურულ კაცობრიობის წინაშე და ჩვენ ვიცოდით, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენი სიმართლე და უდავო უფლებები პატივს დამახვეჭებდნენ ევროპაში.

ნურავინ მიიკუთვნებს ღვაწლს ამ დიდ მოვლენაში! 27 იანვრის უდიდესი აქტი არის გამარჯვება ქართველი ერისა, საქართველოს შარავანდედით მოსილ წარსულისა, ჩვენი სახელგანთქმული და სამშობლოსათვის თავგანწირულ წინაპრებისა, წარსულ საუკუნოებში ერის ძლიერებისათვის აშიშვლებული მახვილისა და მთელი ჩვენი ეროვნული კულტურისა!

„რაც უნდა იშვას, იშვება და რაც აღსასრულებელია, აღსრულდება“, სთქვა უდიდესმა ფრანგმა.

და საქართველოც აუცილებლად უნდა შესწრებოდა ამ ბრწყინვალე დღეს!

პარლამენტარული სკანდალი

დამფუძნებელი კრების კულუარებში დეპუტატ ბ. გ. ჩხიკვიშვილსა და ნუცუბიძის შორის მომხდარმა სკანდალმა დიდი აურ-ზაური გამოიწვია დამფუძნებელს კრებაში. ინციდენტის გამოძახილი გადავიდა პრესსასა და საზოგადოებაშიც. სამწუხაროდ, როგორც თვით ინციდენტი იყო უჩვეულო, ისე ეს გამოძახილიც არ იყო მიზანშეწონილი და ინციდენტის ღირსეული ლიკვიდაციის მიზნებით გამოწვეული.

დამფუძნებელი კრების შენობაში ადგილი ჰქონდა კრივს ორ დეპუტატ შორის. ეს რომ პარლამენტის გარეშე მომხდარიყო, რასაკვირველია, მას მხოლოდ პირადი შეურაცხყოფის ხასიათი მიეცემოდა და ამის გამო დამფუძნებელი კრების ამა თუ იმ ფრაქციას აღარ დარჩებოდა საბაბი ინციდენტის პარლამენტში გამოტანისათვის. მაგრამ სკანდალს ადგილი ჰქონდა თვით დამფუძნებელი კრების შენობაში და ამიტომაც აშკარაა თვით დამფუძნებელ კრებას უნდა გამოეძებნა ინციდენტის ავტორის პასუხისგების ფორმა. სამწუხაროდ, ამ ობიექტიური საზომით არ იხელმძღვანელეს დამფუძნებელ კრების სოციალისტურმა ფრაქციებმა. სოციალისტ-ფედერალისტებმა ამ ინციდენტის ლიკვიდაციისთვის დეპუტატ ჩხიკვიშვილის გაძევება მოითხოვეს დამფუძნებელი კრებიდან. ასეთი მოთხოვნილება, რასაკვირველია, მიუღებელია ყოველმხრივად. ასეთი დანაშაულისთვის ხალხის წარმომადგენლისთვის დეპუტატის უფლებების აყრა არ შეიძლება. დეპუტატისათვის მანდატის ახდა უნდა შეიძლებოდეს მხოლოდ კანონში მტკიცედ განსაზღვრულ. შემთხვევებში, მძიმე ბოროტმოქმედების გამო. ს. ფედერალისტთა წინადადება მხოლოდ იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ეს ფრაქცია თავის წევრის შეურაცხყოფით ისე იყო აღელვებული, რომ გრძნობები ვერ გაზომა და მომხდარი ინციდენტი გონივრულად ვერ შეაფასა. თორემ ასეთს შემთხვევაში დეპუტატების გაძევება რომ დაკანონდეს, მმართველ ფრაქციის, თუ მოისურვებენ მთელი ოპოზიციის პარლამენტიდან გაძევებაც არ გაუძნელდება. გასაგები აღელვება სოც.-ფედერალისტთა ფრაქციამ თავის კალაპოტში ვერ ჩატია, რის გამოც მან, ჩვენის აზრით, სხვა შეცდომებიც დაუშვა. ყოვლად შეუწყნარებელია ასეთი ინციდენტებისათვის თუნდაც სტუდენტების დემონსტრაციების მოწყობა, ისიც დამფუძნებელი კრების წინაამდეგ. დამფუძნებელი კრების წინ დასაშვებია მხოლოდ პატრიოტული მანიფესტაციები და არა დემონსტრაციები დამფუძ. კრების და მის წევრთა მოქმედების დასაფასებლად, ისეთი დემონსტრაციების, რომელთა მიზანია ერთგვარი ზედ გავლენის და ძალ დატანების მოხდინა. რას დაემსგავსება რომ ხვალ, არც თუ პოლიტიკური საქმის გამო, სხვა ფრაქციებმა მუშათა და მოქალაქეთა დემონსტრაციები გამართონ დამფ. კრების წინ, დამფ. კრების დასაფასებლად. ასეთი დემონსტრაციები პარლამენტის წინაშე საზოგადოთ დაუშვებელია. კანონმდებელნი მუდამ დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ თავიანთ მოქმედებაში და სრულიად თავისუფალნი შემთხვევით შეკრებილ საზოგადოების ზეგავლენისაგან. კიდევ უფრო შეუწყნარებელი იყო ასეთი დემონსტრაციები მას შემდგომ რაც ფედერალისტების ფრაქციამ თავის წევრის შეურაცხყოფა დამფუძნებელ კრებაში გაასაჩივრა. ფრაქციას იმდენი პატივისცემა მაინც უნდა გამოეჩინა კრებულისადმი, სადაც ის სამართალს ეძებდა, რომ დაეცადა მისი განაჩენისთვის. მღელვარებით ატანილმა ს.-ფედერალისტებმა, ამ სამწუხარო ინციდენტის გარშემო გადაჭარბებული განცდაში გამართეს. ამ გარემოებამ გამოასწორა მმართველი ფრაქციის ფრიად უხერხული მდგომარეობა და მას გაუადვილა ჩვეულებრივი უტიფრობის და უხეშობის დემონსტრაცია და თავის თავისი გამართლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, რომ ფედერალისტებს ტაქტი არ დაეკარგათ! სოც. ფედერალისტებს სხვა სოციალისტური ფრაქციებიც არ ჩამორჩნენ. ს.-რევოლუციონერებმა ეს კრივი უდიდეს პოლიტიკურ დოღად დასახეს. საზოგადოთ, ოპოზიციის სოციალისტობას, ამ შემთხვევაში, უფრო იპოზიციონერობა ემჩნეოდათ, ვიდრე სურვილი ამ მომხდარი სკანდალის შესაფერი ლიკვიდაციისა.

ხოლო მმართველმა ფრაქციამ შექნილი წუმპედან სრულიად მშრალად ამოსვლა მოინდომა—„ასეთი რამ სხვაგანაც ხდება. რა მოხდა ასეთიო?“ ასე ილაღადა ფრაქციის სახელით ბ—ნმა გვარჯალაძემ.

ასეთ ცინიზმამდე მ ვიდოდა მხოლოდ ისეთი ფრაქცია, და ისეთი ადამიანი, რომელიც უხეშ ძალას და კრივს უზენაესი მსაჯულის როლს ანიჭებს. უმრავლესობის ფრაქციამ თავისი რეზოლიუციით დაამტკიცა, რომ იგი მართლაც და ძალმომრეობას ეთაყვანება, რომ მას აკლია ზნეობრივი სიმტკიცე დაჰგმოს თავისი წევრის ყოვლად ულირსი საქციელი!! ჩვენ არ გვიკვირს, რომ მმართველმა ფრაქციამ გაზრწნილების ამ წერტილს მიაღწია ამ სამი წლის უკანასკნელო ბატონობის დასასრულში.

ჩვენი ფრაქცია შეეცადა ამ უკიდურეს სიზათა შორის ისეთი ზომა გამოეძებნა, რომელიც ინციდენტს სათანადო ფარგლებში მოამწყვდევდა, დასაგმობს დაგმობდა და დამფუძ. კრებასაც პატივით გამოიყვანდა იმ ყალბ და არა შესაფერ მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი ჩააყენეს ოპოზიციის სოციალისტებმა და მმართველმა ფრაქციამ.

ამ მიზნით ჩვენმა ფრაქციამ წინადადება შეიტანა—არჩეულიყო სპეციალი კომისია, რომელიც ამ ინციდენტს ყოველ მხრივ გამოარკვევდა და სასჯელის ფორმის შესახებაც თავის დასკვნას წარმოადგენდა დამფუძნებელ კრებაში. ეს იყო საუკეთესო გამოსავალი ყველა იმისთვის, ვისაც ამ სკანდალის საზოგადოებრივი მხარე აინტერესებდა და არა სკანდალი, როგორც საბაბი პოლიტიკური და ფრაქციული ბრძოლისა.

ჩვენი წინადადება სოციალისტურმა ფრაქციებმა არ მიიღეს; სამაგიეროთ თავიანთი ქცევით მათ დამფ. კრების დონე ჩამოაქვეითეს: მენშევიკებმა მუშტი კრივს დაცვა დაუწყეს, ესერ-ფედერალისტებმა კიდევ დამფ. კრება ერთიანად ფრაქციული შურისძიების მოედნათ გადააქციეს.

ჩემი ნატვრა.

საქართველოს დიდი და იშვიათი მნიშვნელობის დღესასწაული ახარებს! განათლებულმა კაცობრიობამ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა დაადასტურა! ევროპის სახელმწიფოებმა მიმდინარე წლის 27 იანვრის აქტით საქართველოს რესპუბლიკა ჩარიცხეს სუვერენულ სახელმწიფოთა ოჯახში, როგორც მათი თანაწევრი, თანაბარი უფლებითა და მოვალეობით მოსილი!

ეს ამბავი მოეფინა ჩვენს ქვეყანას კიდით კიდემდე და გულის სიღრმემდე ჩასწვდა ყველა ქართველს, განურჩევლად მდგომარეობისა და პოლიტიკური რწმენისა! მან სასიხარულო გრძნობებით აღავსო პატრიოტული ქართველობა, რომლის დიდი ხნის წადილი დღეს რეალ მოვლენად ისახება და აღაფრენს ქართველ ხალხს ეროვნულსა და სახელმწიფოებრივ შეგნების უმწვერვალესო ბამდე.

საქართველოს იურიდიულად ცნობის ამბავმა ჩვენ მოგვისწრო სწორედ იმ დროს, როდესაც საქართველოს საალმშენებლო პროცესის პირველ რიგში სდგას ჩვენი მიწა-წყლის ამოხაზვის საკითხი.

მოკავშირე სახელმწიფოთა აქტმა უეჭველად უნდა შეგვმატოს გამბედაობა და მეტი სიმტკიცე საქართველოს გასაერთიანებლად. საქართველოს ტერიტორია ჯერაც ამოუფარგლელია. ამ მხრივ ჩვენ მინიმუმიც არა გვაქვს ხელთ:

დღევანდელი ზეიმის გარეშე დგანან ჯერ კიდე ბევრნი, რომელთა სული და გული მუდამ ჟამს საქართველოსთან არის. საქართველოს გარეშე დატოვებულია აგრეთვე მისი უდავო და უხსოვარი დროიდან განუყოფელი ნაწილი საინგილო—ზაქათალის ოლქი.

საფიქრებელია, რომ ამიერიდგან საერთაშორისო ურთიერთობის სრულუფლებიანი წევრის—საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის—სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი მტკიცე საფუძველს ჩაუყრიან ქართველი ხალხის მისაღწევარს...

ჩემი ნატვრაა: ამ უდიდესი ზეიმის წლის თავზე საქართველოს ეროვნული დროშები აფრიალებულიყოს ზაქათლის აღმოსავლეთის ბჭეთა ზედა!

სრულიად საქართველოს აღტაცებულ ყიჟინს დღეს აკლია ზაქათლის მცხოვრებთა ნახმევიც!

 რ. ისგიდო.

საქართველოს ეკონომიური პერსპექტივები.

ფინანსთა, ვაჭრობა და მრეწველობის მინისტრმა საქართველოს დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარის დროს განაცხადა: საქართველოს იურიდიულად ცნობას ჩვენი ეკონომიური მომავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენ ძირითად საფუძველს დასავლეთ ევროპის კაპიტალისა, ტეხნიკებისა და სპეციალისტების შემოყვანას, ყოველთვის ელოდებოდა წინ ჩვენი იურიდიულათ ცნობა.

დასავლეთ კაპიტალის წარმომადგენლებს, რომელთაც სურდათ დაეჭირათ ჩვენთან ეკონომიური ურთიერთობა არ ჰქონდათ კიდევ ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ ვინ იკისრებდა იმ ნაბიჯების პასუხისმგებლობას, რომელსაც გადადგამდა მხოლოდ ფაქტიურად აღიარებული მთავრობა: ამიტომ ბევრს რომლებსაც აინტერესებდათ საქართველო და რომლებიც იცნობდენ ჩვენ ქვეყანას, აშინებდა საკითხი: როგორ დასკვნამდე მივლიან დიდი სახელმწიფოები ბოლოს და ბოლოს საქართველოს ცნობის საკითხის შესახებ. ჩვენ გვცნობდენ ისეთ პირათ რომელსაც ენდობოდენ თამასუქზე ხელის მოწერის გაკეთებას, მაგრამ ასეთი ხელის მოწერის უფლება არ გვქონდა. საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის შემდეგ კი, ჩვენ არა მარტო ხრსებითად, არამედ ფორმალურადაც ისეთ კონტრაგენტათ ვხდებით, რომელიც აკმაყოფილებს უფლების ყველა მოთხოვნილებას. მაგრამ საქართველოს იურიდიულად ცნობას აქვს მნიშვნელობა არა მარტო ეკონომიურ უფლებრივ დამოკიდებულების თვალსაზრისით მას აქვს მნიშვნელობა აგრეთვე უცხო სახელმწიფოებთან ეკონომიურ ხასიათის საჯარო უფლებრივ დამოკიდებულების დაჭერის თვალსაზრისით ამდენხანს მაგალითად, სავაჭრო ხელშეკრულებებს და ტრადიციულ შეთანხმებებს ჩვენ უახლოეს მეზობლებთან ვდებდით. ამიერიდან კი ჩვენ ასეთი ხელშეკრულებებით უნდა შევეკრათ აზიისა და ევროპის ყველა სახელმწიფოებს.

სხვათა შორის ამჟამად არავითარი დაბრკოლება აღარ არსებობს იმისთვის რომ საქართველო ჩარიცხონ საერთაშორისო ფოსტა ტელეგრაფის კავშირში, ვინაიდან კავშირის ბიურო, რომელიც დაგვპირდა კავშირში ჩარიცხვას, ერთად ერთ დაბრკოლებას ხედავდა იმაში, რომ ჩვენ არ ვიყავით იურიდიულად აღიარებული. ფოსტა-ტელეგრაფის საშუალებით მოწყობილი დამოკიდებულება კი თავის მხრით არის საფუძველი იმისათვის, რომ ეკონომიური ურთიერთობა წესიერ ნიადაგზე დადგეს. ეკონომიურ მისის ევროპაში ყოფნის დროს რომ ეცნო უმაღლეს საბჭოს ჩვენი დამოუკიდებლობა იურიდიულად, ჩვენ უეჭველად მეტი შედეგებით დავბრუნდებოდით უკან. ჩვენი ის კონტრაგენტები, რომლებიც ჩვენ ხელშეკრულებებით შეგვეკრენ და მხოლოდ ფაქტიურად გვცნობდენ, ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნილებანი დიდ სახელმწიფოების მიერ დაკმაყოფილებული იქნებოდა. პრაქტიკული მუშაობა ახლა მათთან უფლებრივის მხრით უფრო ხელსაყრელ პირობებში იწყება.

ეს კი უეჭველია უფრო გააძლიერებს ფინანსიური და სამრეწველო წრის წარმომადგენლების მხრით სურვილს საქართველოსთან მტკიცე ეკონომიურ კავშირისას. დაჭერის ჩვენი მორიგი მიზანი ამ ჟამად არის საკუთარი ფულის სისტემის შექმნა. მართალია, თითქოს საერთო ეკონომიური პირობები არ არის ამისათვის ხელსაყრელი, მაგრამ ამ მეტად ძნელი საქმის განსახორციელებლად ჩვენ გვაქვს შემუშავებული განსაზღვრული გეგმა და რეალური პერსპექტივები. ხარჯების შესამცირებლად ჩვენ ყოველგვარ ზომას ვიღებთ, კერძოთ, ჩვენ დიდათ შევამოკლეთ ის ხარჯები, რომელიც ჩვენ საგარეო წარმომადგენლობას სჭირდება. ზოგიერთ ქვეყნებში კავშირის დასაჭერად, ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ საკონსულოების დაარსებით. ამისათვის კი უნდა გამოვიყენოთ ადგილობრივად მცხოვრები ჩვენი მოქალაქეები. საერთოდ, სთქვა დასასრულ მინისტრმა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტიდან, ჩვენი ეკონომიური მომავლისათვის, გამომდინარეობს მეტად დიდი მნიშვნელობის მქონე შედეგები. გარდა ამისა რესპუბლიკის იურიდიულად ცნობისაგან გამომდინარე უფლებებით სარგებლობა დამოკიდებულია კონკრეტიულ მოვლენებისა და ცხოვრების მიერ წამოყენებულ საკითხებისაგან.

— დღესასწაული საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის გამო. პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატმა დაადგინა მიიღოს თებერვლის 6-ის დღესასწაულის მოწყობაში მხურვალე მონაწილეობა. არჩეულია საგანგებო კომისია: ხელაძისა, დიბორჯგინიძისა და ჩხენკელის შემადგენლობით. კომისიას ევალება მუშათა ორგანიზაციების ხელმძღვანელობა მსვლელობის დროს.

მეთამბაქოეთა კავშირის გამგეობამ 2 თებერვლის სხდომაზე დაადგინა: მისცეს წინადადება საფაბრიკო კომიტეტებს აუხსნან მუშებს 6 თებერვლის დღესასწაულის ისტორიული მნიშვნელობა და მიიღონ თავის თავზე მუშების მსვლელობის ხელმძღვანელობა.

(სანდონსანი)

დეპეშები.

სანდონსანის ცნობები

ლენინის ავადმყოფობა

პარიზი. „ჟურნალ დედება“ გადმოგვცემს: თანახმათ პარიზში მიღებულ ცნობებისა, ლენინის ჯანმრთელობა მეტად შერყა. „პრავდის“ სიტყვით კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომას თავმჯდომარეობს ტროცკი. „ჟურნალ დედება“ თავის შენიშვნას ასე ათავებს: ჩვენ გვაქვს სარწმუნო ცნობები, რომ ლენინი მართლაც სერიოზულათ გახდა ავათ და რომ ექიმებმა მას სრულ სიწყნარეში ცხოვრება ურჩიეს. ცნობა ლენინის სიკვდილის შესახებ არ მტკიცდება.

მოსკოვი და სპარსეთი

ბერლინი. სპარსეთის პრესა ბეჭდავს იმ ხელშეკრულების ტექსტს, რომელიც დაიდვა მოსკოვისა და სპარსეთის მთავრობის შორის. თანახმათ ხელშეკრულობისა საბჭოთა მთავრობას რჩება ყველა ის უპირატესობა და უფლება, რომლითაც სპარსეთში მეფის მთავრობა სარგებლობდა. რუსეთის წარმომადგენლათ სპარსეთში დაინიშნა როდოვსკი.

ბოლშევიკების პროპაგანდა

სტამბოლი. „სტამბოლი“ ევროპაში გაწეულ ბოლშევიკურ პროპაგანდის შედეგების საკითხს მოწინავე წერილს უძღვნის. წერილის ავტორი სწერს: მიუხედავათ იმ დიდი თანხის დახარჯვისა, რომელიც გაიღო მოსკოვმა მთელ ქვეყანაში ბოლშევიკურ პროპაგანდის გასაწევათ, ბოლშევიკებმა არსებითათ ვერაფერს ვერ მიაღწიეს. ლენინის რუსეთს დიდი იმედი ჰქონდა გერმანიაში მომხდარ რევოლიუციისა. მაგრამ ბოლშევიკები შეცდნენ. უეჭველია, რომ ბოლშევიზმმა ვერ მონახა სათანადო ნიადაგი გერმანიაში, რომელიც მეტად დასუსტდა და აღარ შეუძლია აწარმოოს ისეთი მილიტარისტული და იმპერიალისტური პოლიტიკა, როგორსაც აწარმოებენ რუსი ბოლშევიკები. მიუხედავათ ფრანგ სოციალისტებს შორის მომხდარ განხეთქილებისა რუს ბოლშევიკებს არა აქვთ საფუძველი იქონიონ იმედი საფრანგეთში ბოლშევიზმის გავრცელებისა. ფრანგი კომუნისტები „თამაშობენ საბჭოებით“, მაგრამ საფრანგეთი ბოლშევიზმს არ მიიღებს.

მით უფრო ნაკლები იმედი უნდა ჰქონდეთ ბოლშევიკებს ინგლისში ბოლშევიზმის გავრცელებისა, ვინაიდან ინგლისი სოციალური წესიერების მხრით ერთი უმტკიცესი ქვეყანა არის. ინგლისელი მუშები მიუხედავათ ბოლშევიკების მოწოდებებისა, რჩებიან რეფორმისტებათ და პარლამენტარულ წყობილების დამცველებათ. იტალიაში, მიუხედავათ იქ მომხდარ არეულობისა, ბოლშევიზმს ფაქტიურად მხოლოდ პატარა ჯგუფი უჭერს მხარს. ასეთივე დამარცხება იგემეს ბოლშევიკებმა პატარა სახელმწიფოებში; ესე იგი ჩეხო-სლოვაკიაში, რუმინეთში, და ოსმალეთში. ოსმალეთი ანგორის სახით სარგებლობს ბოლშევიკებით, მაგრამ რასაკვირველია მათ პრინციპებს არ იზიარებს.

რუსეთის ცნობები.

შრომის მობილიზაცია.

მოსკოვი 3 თებ. რ. პ. მოსკოვის კომიტეტმა მოსკოვის, ვორონეჟისა და ტამბოვის გუბერნიებში მიწის დამუშავების გაძლიერების მიზნით გამოაცხადა კომუნისტების მობილიზაცია. 500 ამხანაგზე მეტი უნდა მოგვცეს ქალაქ მოსკოვის რაიონებმა დათესვის საქმის მოსაწესრიგებლად.

55
ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთო მრეწველობა რუსეთში.

სამთო მადნო მუშათა ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებებიდან გამოირკვა ჩვენი სამთო მრეწველობის მდგომარეობა. 1913 წელს მთელ რუსეთში დამუშავებული იყო 580 მილიონი ფუთ. რკინა 1920 წელს კი 8 მილიონი, რადგანაც სამხრეთ რუსეთში არსებულ მადნებში მუშაობა არ წარმოებდა. 1913 წელში დამუშავებული იყო 69 მილიონი ფუთი სპილენძი, 1920 წელში კი 220 ფუთი. 1920 წელს სამთო მადნო მაღაროების მუშათა შრომის ნაყოფიერება ომის წინეთ არსებულ შრომის ნაყოფიერების ნორმის 25—40 პროც. უდრის. ეს ციფრები გვაჩვენებს, თუ როგორ შემცირებულა ჩვენში მადნეულობის დამუშავება და რამდენი შრომა გვჭირდება კიდევ, რომ ამ დარგში ომის წინეთ არსებულ მდგომარეობას მივაღწიოთ.

სათბობი მასალის კრიზისი.

როგორც შრომისა და თავდაცვის კომიტეტში წაკითხულ მოხსენებიდან გამოირკვა რუსეთის რკინის გზებზე სათბობი მასალის კრიზისი ყოფილა. ამ ახლო ხანში არ უნდა მოველოდეთ მდგომარეობის გაუმჯობესებას. როგორც სჩანს გარდა თურქესტანისა ყველა რკ. გზაზე შეშით გათბობის საკითხი აპრილში კიდევ უფრო გაუარესდება. შრომისა და თავდაცვის საბჭომ გადასწყვიტა ამის გამო შეადგინოს სათანადო სრულ უფლებიანი კომისია, რომელსაც სხვათა შორის მიენდობა მცხოვრებთა მობილიზაცია სათბობი მასალის დასამზადებლად და სადგურებზე მისახიდათ.

ფრანგული ცნობები.

საბჭოთა რუსეთში.

პარიზი. თებ. 4. სოციალისტურ გაზეთ „ლაფრანს ლიბრში" პერი სწერს: საბჭოთა რუსეთში შემოღებულმა მეთოდებმა შექმნა აუტანელი მდგომარეობა განსაკუთრებით მუშაობის პირობებში. მოსკოველი ბელადები იძულებული არიან თვითონ აღიარონ ეს მოვლენა და მათი გაზეთებიც არ ცდილობენ ამის დაფარვას, რადგანაც ეს შეუძლებელია. თუ არ შეიძლება, რომ გავკიცხოთ ბოლშევიკები იმ დაბრკოლებათა გამო, რომელიც იყო შედეგი (დამახინჯებულია) მათი დამარცხებისა, არ შეგვიძლია მოვხსნათ მათ პასუხის მგებლობა იმ საშინელი შეცდომებისათვის, რომლის შედეგებსაც ამ ჟამათაც განიცდის რუსი ხალხი.

„პრავდის" ცნობით ქარხნებში გაჩაღებულია ყაჩაღობა, რაშიც მონაწილეობას ღებულობს მთელი შემადგენლობა. უნდა ავღნიშნოთ, სწერს წითელი გაზეთი, რომ ყველაფერი ეს წინადგანზრახვით არის მოწყობილი. ერთი იპარავენ მეორეთათვის როგორი ზედ გავლენა უნდა მოახდინოთ ამ გვარ წრეებზე. ენერგიული ზომები გამოიწვევს მათ უკმაყოფილებას.

„პრავდა" სწერს: ქურდებს ყველაფერს ვუთმენთ და ეს მოთმინება კი საბოლოოდ რყვნის მასას. რაც შეეხება მუშაობის ღირსებას, წითელი გაზეთები ამის შესახებ პესიმისტური ტონით სწერენ. პესიმიზმით განსაკუთრებით შეპყრობილი არიან ბელაკუნის მიმდევრები იმ დემორალიზაციის შემდეგ, რომელიც არსებობს ჰუნგრეთის სოციალისტ მუშებს შორის.

„პრავდის" 295 ნომერში სწერია: ლაპარაკიც კი არ შეიძლება პროფესიონალურ დისციპლინის შესახებ. საერთოდ არ არსებობს არავითარი დისციპლინა. მუშათა დიდი ნაწილი სრულებით უმიზეზოთ არ მოდის სამუშაოზე. მუშაობის ღირსება ყოველ გვარ კრიტიკის გარეშეა. ამ გვარ დემორალიზაციამდე სწერს: „ფრანს ლიბრი" მიჰყავთ საქმე რევოლიუციონერებს, რომელთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენს შენების მაგიერ დაშლა და ნგრევაო.

გერმანული ცნობები.

ინგლისური ენა გერმანიის სასწავლებლებში.

ნაუენი, თებერვლის 4. გერმანიის სასწავლებლებში ასწავლიან ერთ ერთ უცხო ენას; ფიქრობენ, რომ ამორჩეული იქნება ინგლისური ენა, რადგანაც მას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს კომერციულ დამოკიდებულებისათვისო.

კომუნისტური პროპაგანდა.

„ფორვერსტი" სწერს: გერმანულმა კომუნისტურმა გაზეთმა „წითელმა დროშამ" მოსკოვისაგან მოითხოვა 7 მილიონი მარკა პროპაგანდის გაგრძელების მიზნით.

შეიდემანის სიტყვა.

(დასაწყისი არ მიგვიღია) შეიდემანმა ამას დაუმატა: ინგლისის მუშათა პარტიის გაზეთები აცხადებენ: თუ განხორციელდა პარიზში მიღებული გადაწყვეტილებანი, უმუშევრობა ინგლისში უფრო გაძლიერდება. ჩვენ მხარს უჭერთ სიმონსის პროგრამასა და მის კონტრ წინადადებებს. გერმანელმა მუშებმა მტკიცედ გადასწყვიტეს ყოველ გვარი ზომა იხმარონ თავის ქრილებათა მოსარჩენათ. ისინი მზად არიან თავის შრომით და საშუალებით აღადგინონ ჩრდილო საფრანგეთი და ბელგია.

ახალი ამბები

— რესპუბლიკიდან გადასახლება. თებერვლის 4. შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გაცემულ ბრძანებით გადასახლებულ იქნენ რესპუბლიკის საზღვრებიდან შემდეგი პირები, რომლებიც პირველ თებერვალს, ღამის 12 საათზე, სასამართლოს ქუჩა № 46, შეპყრობილ იქმნენ განსაკუთრებულ რაზმის აგენტების მიერ აზარტულ კარტის თამაშში: 1. გრ. დოლმაჩოვი, 2. ი. მირზოევი, 3. გრ. ხადეი პავლო, 4. გ. რაზამეური, 5. ნ. ლანგერი, 6. მ. ფაზილ, 7. ანდ. შახნაზაროვი, 8. მ. უხთეი, 9. ნ. ტამჩენკო, 10. ოლ. ლანგენი, 11. ს. ანტონოვისა, 12. ს. მნაცაკ ნოვისა, 13. ზ. სუხანევისა, 14. ნ. კალინინისა დანარჩენ მონაწილეთ თამაშში მინისტრის განკარგულებით მოხსნიან ადმინისტრატიულ სასჯელს თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემ. სავალდებულო დადგენილებისა. აღმოჩენილი ფული თამაშის დროს გადაეცა სახელმწიფო ხაზინას.

— მატყლით თავისუფალი ვაჭრობა. მთავრობამ, მოისმინა რა ფინანსთა მინისტრის ამხანაგის ელიგულაშვილის მოხსენება კომისიის დადგენილების გამო მატყლით თავისუფალ ვაჭრობის შესახებ, დაადგინა: დართოს დროებით ნება რესპუბლიკის ფარგლებში მატყლით თავისუფალ ვაჭრობისა.

— საფუთო გადასახადი. მთავრობამ, მოისმინა რა შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება, დაადგინა: 1920 წ. ორი ივლისის დეკრეტით, ფოთისა, შორაპნისა და ჭიათურის ერობების სახარგებლოდ მარგანეცზე დადებული საფუთო გადასახადი, გადიდდეს 5-მდე და სათანადო დეკრეტი იქნეს შეტანილი დამფუძნებელ კრებაში.

— ტყიბულის კომიტეტში. ამ ცოტა ხანში ტყიბულის მაღაროების სამთო და საამშენებლო სამუშაოთა დასათვალიერებლად გაემგზავრება ტყიბულში სპეციალური საინჟინერო კომისია, რომელშიაც შედიან: სამთო ინჟინერები, აბაშიძე, კონუშევსკი, სახელაშვილი: ტროიცკი, ტერ-დავიდოვი და გზათა დეპარტამენტის დირექტორი.

— სამძიმრის წერილი. კონსტანტინოპოლიდან ვასო აბაშიძემ სამძიმრის წერილი მიიღო ცნობილ მსახიობ ო. აბელიანისაგან ლადო მესხიშვილის გარდაცვალების გამო.

— მუსიკა. სამუსიკო სკოლა. ქართულ სამუსიკო საზ—ბის მთავარ გამგეობამ დაადგინა, რომ მეორე წლის ნახევრისათვის გაიხსნას მიღება ახალ მოწაფეთათვის. სამშაბათს, 8 თებერვალს საღამოს 5 საათზე (პეტრე დიდის ქ. № 8) დანიშნულია გამოცდა.

— ახალი გამოგონება. ამერიკელმა მოქალაქემ პროფესორმა ვანდერმა გამოიგონა პრეპარატი გლიცეროფოსფატი „ფოსკოროლეციტი, ნევრასტენიის, სისხლნაკლებობის და სისუსტის და აგრეთვე გონორეის წინააღმდეგ. პრეპარატი „რეზუროლინი" და „გლიცერო ფოსფატი" პრ. ვანდერის არის ლაბარატორიებში, საერთაშორისო მედიკურ ინსტიტუტში და ცნობილია როგორც რადიკალური საშუალება ზემოთ ნახსენებ ავადმყოფობის წინააღმდეგ. საერთაშორისო მედიკურმა ინსტიტუტმა დაადგინა ჩარიცხოს ბ-ნი ვადნერი ინსტიტუტის საპატიო წევრათ.

— მწერალთა კრება. მწერალთა კრება, რომელიც დანიშნული იყო დღეს „არმაზ"-ში, საქართველოს იურიდიულად ცნობის დღესასწაულის გამო გადაიდო ოთხშაბათს 9 თებერვლისათვის.

— მწერლებს. „სიტყვა ქართულის" რედაქცია სთხოვს განმეორებით ყველა მწერლებს საჩქაროთ გამოგზავნონ მასალა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ნაწერები ვერ მოთავსდება პირველ კრებულში.

— ჰონორარი. მწერალთა კავშირის სალიტერატურო ორგანოს „სიტყვა ქართულის" სარედაქციო კოლეგიამ დაადგინა: მიეცეს ჰონორარი ერთ გვერდ ბელეტრისტულ ნაწარმოებში 500 მ. და ერთ გვერდ ლექსში 1000 მ. ყველა მწერლებს, რომლის ნაწერებიც კი მოთავსდება ამ კრებულში.

— სტუდენტთა კრება. კვირას თებერვლის 6 ს დილის 9 საათზე დანიშნულია სტუდენტთა არაჩვეულებრივი საერთო კრება უნივერსიტეტში. ამხანაგებს ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

გამგეობის პრეზიდიუმი.

ბოროტმოქმედებანი.

მიხეილ აგაევის ძემ აგაევმა მცხოვრებმა ქ. თბილისში სუდების ქუჩ. სახ. № 19 განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში, რომ მას ბინიდგან მოჰპარეს სხვა და სხვა ნივთები ღირებული 550000 მან. მისულმა ადგილობრივ სისხლის სამართლის მილიციის მოხელეებმა გამოარკვიეს რომ ქურდობა ჩაიდინეს შალვა ირამას-ძემ კალმახელიძემ, ანდრონიკე იაკიმეს-ძემ მანუჩიანცმა და ივანე მარიანცმა. მათში კალმახელიძე და მანუჩიანცი დაჭერილნი არიან, რომლებიც ქურდობაში გამოტყდნენ და განაცხადეს რომ მათ მიერ მოპარულნი ნივთები შენახულია მეეზოვეს მაკარი მოსეს-ძეს შირმაზიანცის ბინაში ვაზლის ქუჩა სახ. №21, სადაც ნივთები იყო აღმოჩენილი და ჩაბარებული კუთვნილებისამებრ. დარჩა მხოლოდ მოუძებნელი მარტო თეთრეული, რომელიც დამალული მირზოიანცის მიერ მიყიდულია ვინმე უცნობზე. დაპატიმრებულნი მოთავსებულნი არიან სატუსაღ-ში. კვლევა-ძიების ოქმი გადაეცა სასამართლოს.

8 დეკემბერს ევგენია ვლადიმირის ასულის გვარდალაძის ბინაზე (კოჩიევის ქუჩ. სახ. №4) მოხდა ქურდობა სხვა და სხვა მატერიებისა და სახლის ნივთების ღირებულის 972 000 მან. მისულმა ადგილობრივ სისხლის სამართლის მილიციის მოხელეებმა დამნაშავე ვერ აღმოაჩინეს, მაგრამ მომხდარი საქმე პროფესიონალურ ქურდობას მიაწერეს, და ამ მიმართულებით დაიწყეს ძებნა აქამდის. სასტიკი გამოძიების შემდეგ მივიდნენ იმ დასკვნაზე, რომ ქურდობა ესე იყო ჩადენილი თავისიანის მიერ. ამათიეზოში სცხოვრობს ექიმი დევიძე, რომელსაც ყავს ხელზე მოსამსახურე ოლღა გიორგის-ასული სირაძე, რომელსაც ცალკე ოთახი არა აქვს და იწვა ბავშვების ოთახში ბავშვებთან ერთად, და ამიტომ თავის დროზე ეს ოთახი არ იყო დაძებნილი. ყველა ოთახების დაძებნის შემდეგ საბავშო ოთახში აღმოაჩინეს დაკარგული ნივთები, რომელიც მოიპარა სირაძემ, რომელიც ქურდობაში გამოტყდა, ნივთები ჩააბარეს პატრონს. სირაძე დააპატიმრეს, კვლევა-ძიების ოქმი გადაეცა სასამართლოს.

პარტიული ცხოვრება

საქარ. დემოკრატიულ პარტიაში.

ს. ოტობაია (საჯურზაყანოს მაზრა) იანვრის 23-ს ს. ოტობაიაში შესდგა საქართ. დემოკრატიული (ეროვ. დემოკრ.) პარტიის თანამოაზრეთა კრება, რომელსაც დაესწრო 400 კაცამდე. კრებაზე არჩეულ იქმნა კომიტეტი შემდეგის შემადგენლობით: 1. დიმ. ბესელია, 2. არ. ესხია, 3. ნ. კიხირია 4. ნოე ფატურია.

——

საქართველოს დემოკრატიული პარტია.

ტფილისის საქალაქო არჩევნების ხელმძღვანელი ბიურო მოთავსებულია დემოკრატიული პარტიის ბინაზე (დამფუძნებელი კრების ქ. 5). ყოველგვარი ცნობების მიღება როგორც პარტიის წევრთა ისე არჩევნებში მომუშავეთათვის სწარმოებს დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდი და საღამოს 7 საათიდან 10 საათამდე.

——

სარევიზიო კომისიის სხდომა.

სამშაბათს თებერვლის 8-ს საღამოს 6 საათზე დემოკრატიულ პარტიის ბიუროში (დამფ. კრ. ქ. № 6) დანიშნულია პარტიის მთავარი კომიტეტის სარევიზიო კომისიის სხდომა.

დასწრება აუცილებელია.

დღესასწაულის მომწყობი კომისია.

კვირას 6 თებერვალს საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულათ ცნობის აღსანიშნავათ მომწყობი კომისია აცხადებს შემდეგ წესრიგს:

11 საათზე იკრიბებიან რუსთაველის პროს. ჯარი, გვარდია, მუშ. პროფეს. კავშ. პოლიტიკ. და კულტურული ორგანიზაც., შევარდენი, მოწაფეები. ყველა ამათგანს თავიანთ ადგილს მიუჩნევს განსაკუთრებული ხელმძღვანელები. სრულ 12 საათზე მთავრობა იღებს უცხოელ მისიებისაგან მილოცვებს სასახლეში შესავალი სამხრეთით.

პირველ საათზე მთავრობის თავმჯდომარე იღებს აღლუმს და ესალმება ხალხს. ცერემონიალით გავლილი ჯარი გვარდია, შევარდენი და მწკრივი ახალ გაზრდობისა შემოუვლიან თავისუფლების მოედანით პუშკინის ქუჩით ლორის მელიქოვისაზე. დაიჭერენ ადგილს ჩრდილოეთის ნომრების გასწვრივ მუზეუმის შესახვევში კოლოუბნის, ქვაშვეთის და ბარიატინსკის ქუჩებზე. ამის შემდეგ იწყება მიტინგები დამფუძნებელი კრების წინ და რუსთაველის პროსპექტზე სპეციალურად ამისათვის გამართული ტრიბუნებ დან.

სიტყვის მსურველები წინ და წინ უნ და ჩაეწერონ მომწყობ კომისიაში მუშათა პროფ. კავშირის სეკრეტარიატის მდივანთან.

საღამოს სახელმწიფო ოპერის და დრამის თეატრებში გამართება საზეიმო უფასო წარმოდგენები. ბილეთები განაწილებული იქნება სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა პროფ. კავშირის და პოლიტიკურ ორგანიზაციების საშუალებით.

ქალაქი გაჩირაღდნებული იქნება. მოქალაქეებმა უნდა მორთონ თავისი სახლები ეროვნული და წითელი დროშებით, ხალიჩებით და გირლიანდებით.

8 საათიდან თავისუფლების მოედანზე თვითმართველობის შენობის აივანზე ამართული იქნება ეკრანი, საიდან აჩვენებენ კინემატოგრაფიულ სურათებს: საქართველოს დამოუკიდებლობისას, სახალხო გვარდიის დღესასწაულისას და ბათუმში საქართველოს ჯარების შესვლას.

საერთო წესრიგს იცავს მილიცია, ხელმძღვანელობას უწევს, ადგილებს აწესრიგებს სპეციალური ხელმძღვანელები კომისიის მიერ დანიშნულნი, რომელთაც ნიშნები ექნებათ მკლავზე.

საერთო ხელმძღვანელობა ცერემონიისა დაკისრებული აქვს ქალაქის მოურავს ბ. ჩხიკვიშვილს.

შიშით ძრწოლვა!

27 თებერვალს ქალაქის არჩევნები.

ჩვენ რამოდენიმე წერილით გავაფრთხილეთ მოქალაქენი და სხვათა შორის მივუთითეთ მათ იმ უმწეო მდგომარეობაზე, რომელშიაც ჩააყენა ჩვენი ქალაქები მმართველ პარტიის სოციალისტურმა მეთოდებმა. ჩვენი მდგომარეობა ამ მხრივ ისეთია, რომ მოქალაქეს არ დასჭირდება ბევრი მტკიცება და ახსნა-განმარტება მმართველ პარტიის „მოღვაწეობის" მავნებლობის დასაფასებლად. ჩვენი ცხოვრების საერთო მდგომარეობა და თვით ყოველი წვრილმანიც კი მოქალაქის კერძო ცხოვრების ყოველ ბაწია კუნჭულში ცას გასაგონად ღაღადებს მენშევიკების პოლიტიკის დამღუპველობას. ყველა გრძნობს, რომ უუნარო ულისაგან მოაქნეს ქალაქებსა და მთელს დემოკრატიას სოციალისტური პოლიტიკა. ეს საერთო გრძნობა და შეგნება კარგად უწყის მენშევიკების «ერთობამაც», რომელიც თვითვე ამბობს: „ოპოზიციამ საუკეთესო მომენტი აირჩია თავდასხმისათვის (ე. ი. მენშევიკებზე). მას არასდროს არ ჰქონია ისეთი დიდი საკრიტიკო მასალა, როგორც დღეს"-ო. და მართლაც უტიფრობა იქნებოდა აშკარად დამალვის სურვილი, როდესაც მთელმა ქვეყანამ იცის, იგრძნო და განიცადა სოციალისტურ მეთოდების შედეგები. განა არ კმარა მოქალაქისათვის უბრალო გადახედვა ქალაქების ქუჩებსა და დაწესებულებებზე, რომ ეს „შედეგები" ნათლად დაინახოს?

მაგრამ „ერთობა" და მენშევიკები ცხლა სხვა გზას ადგებიან. ამ მხრივ ხალხის მოტყუილების იმედი რომ აღარა აქვთ, ისინი ბრძანებენ, რომ ოპოზიცია კრიტიკის „სიტყვებს სოც.-დემოკრატ. პარტიას უმიზნებს, მაგრამ მისი ნასროლი მთელს ქართველ ხალხს, მის დემოკრატიას ხვდებაო". ვკითხოთ „ერთობას", რატომ და რა მანქანებით შეიძლება მოხდეს, რომ მენშევიკებისათვის გამზადილი და ნასროლი ისრები ქართველ ერს მოხვდეს?

როგორ და რა სახით იწევა ქართველი ერი მენშევიკების აგეთ მფარველობას?

რაზე ამყარებენ ასეთ გაზვიადებულ იმედებს „ერთობის" მესვეურნი. პასუხი თვით „ერთობა"-შია: ქართველ ერს მოხვდება ყოველივე ჩვენზე მომიზნებული, რადგან, ამბობს გაზეთი, „ჩვენმა ხალხმა განუსაზღვრელი ნდობით აღჭურვა სოციალ-დემოკრატია"-ო.

მენშევიკებს ჰგონიათ თურმე, რომ ქართველმა ერმა მათ განუსაზღვრელი ნდობა და უფლება მიანიჭა, ჩვენ კი, დემოკრატიულ მიმართულებას, კრიტიკის უფლებაც არ უნდა გვქონდეს, თორემ ჩვენი კრიტიკა ქართველ ერს და არა მენშევიკებს დააზიანებსო.

მენშევიკებმა თავიანთი მედიდური პრეტენზიები რომის პაპის უცოდველობის მანიამდე აიყვანეს და საბუთად ქართველი ერის „მთლიანი ნდობა" გამოიყენეს.

მაგრამ ქართველმა ერმა და მთელმა ქვეყანამ უწყის, თუ სადამდე მიიყვანა მთელი ხალხი მენშევიკების „განუსაზღვრელმა ბატონობამ", ჩვენ ვიცით, რა აღვირ-ახსნილობა და თვითნებობა გაბატონდა ყველგან, სადაც ფეხი შესდგეს მენშევიკებმა. განა შეიძლება იმაზე შორს წასვლა, რასაც „ერთობა" ბრძანებს? მენშევიკების უნიჭობა და უუნარობა ქართველი ერის უნიჭობა და უუნარობააო. მას სურს, ჩვენს ხალხს მოახვიოს თავზე ყოველივე ის ნაკლი და ჭირი, რომლითაც დაავადებულია სოციალისტური პოლიტიკა და მენშევიკური დოგმატიზმი. აქედან ცხადია, ქართველმა ხალხმა და საქართველოს დემოკრატიამ უნდა აწავლოს მენშევიკებს ის გარჩევა და განსხვავება, რომელიც არსებობს მენშევიკების პარტიობასა და ქართველ ხალხს შორის.

ქართველმა ხალხმა უნდა ჩამოართვას მენშევიკებს ყოველივე საბუთი, რომლის შემწეობით მათ სურთ, ბრუდეთ გაგებით, პარტიულ ჰეგემონიის და „განუსაზღვრელ ბატონობის" დამყარება და ყოველივეს დამონება, ცხოვრების ღრევა.

იქნებ იკითხოთ. თუ რა საშუალებით სურთ მენშევიკებს თავი იმართლონ იმ ბრალდებიდან, რომელსაც მათ უყენებს საქართველოს ხალხი და მთელი ჩვენი ცხოვრება!.

რა საბუთებით სურთ მენშევიკებს თვალი აუხვიონ ხალხს და ჩვენი გალატაკების სურათები ბედნიერების ნიმუშებათ მოაჩვენონ?

ამაზეც პასუხს იძლევა „ერთობა", რომელიც ამბობს, რომ ოპოზიციას მენშევიკებმა უნდა დაუპირისპირონ

„დიდმნიშვნელოვანი მაგრამ, სამწუხაროდ. ხშირად უჩინარი, საქმეები"-ო.

რა უნდა იყოს ის საქმეები, რომელიც მენშევიკებს აქვთ ჩადენილი და რომელიც დიდმნიშვნელოვანია, მაგრამ მთელი სამიოდე წლის განმავლობაში, მთელი ხალხის და საზოგადოებისათვის აქამომდე ჯერ კიდევ სრულიად უჩინარია? რა თილისმა აქვთ გაკეთებული მენშევიკებს ქალაქებს და ერობებში, რომ იმდოვნებენ „უჩინ-მაჩინის" ქუდის მოხდით სწრაფლ გაგვაოცონ!

ეს გახლავთ თურმე მენშევიკების მოღვაწეობა ჩვენს ქალაქებსა და ერობებში, რომლის შედეგებით და „უჩინარობით" მოთმინების საზღვარზეა მისული საქართველოს დემოკრატია და მთელი ხალხი!

ჩვენს მყინავ სიცივესთან, შიმშილობით და გამოწვეულ ფიზიკურ სისუსტესთან ავათმყოფობასთან ერთად ჩვენს უწყლობასა და უსინათლობასთან, ქალაქისა და სახლების გაბინძურებასთან ერთად ჩვენს ყოველდღიურ გალატაკებასთან და დავალიანებასთან ერთად, მენშევიკების სოციალისტურმა პოლიტიკამ ის „უჩინარი შედეგიც" მოგვიტანა, რომ მათ სურთ დაიმონაონ ჩვენი აზრი და გონება, ჩვენი გრძნობა და გულისთქმა, ტირანიულად შებოჭონ საზოგადოებრივი აზრი და მელავნება.

კიდევ ის შედეგი გვაქვს მენშევიკების ბატონობიდან, რომ სოც. ალ.-დემოკრ. პარტია „ერთობის" განცხადებით, იგივეა რაც ქართველი ერიო. მენშევიკები იმეორებენ ცნობილ სიტყვებს „ლეტა სე მუა" ქართველი ერის უფლებათა ხამიოდე წლის უაარის მყოფელ სოც. დემოკრ. პარტიას, დღეს თავისი თავი ქართველ ერად მოაქვს. ესეც ძვირფასი შედეგია სოც.-დემოკრ. პარტიის იდეურ „გამარჯვება—დამარცხებისა".

მენშევიკების გული შიშით ძრწოლვამ მოიცვა ჩვენი კრიტიკის გამო. „ერთობას" ძალა აღარ შესწევს კრიტიკას გაუმკლავდეს, და მოიხმობს დახმარებისთვის „სხვებსაც", ვინც „ერთობის" გარეშე და სათვითმართველო დაწესებულებებშია. ვერაფერი „იმედია". „ერთობას" დაეკარგვია „განუსაზღვრელი იმედი" თავის თავისა, და მენშევიკების ლეგიონებიც ფარ ხმალ აყრილია. რადგან მათ დამხმარებათ მხოლოდ ქალაქთა „სასურსათო განყოფილებაა" და პურის დამამზადებელ ორგანოების ცნობილი პანამისტები იქნებიან.

საქართველოს ხალხმა ბევრი გამოსცადა ამ სამი წლის მანძილზე, მაგრამ ყველაზე უძვირფასესი გამოცდა იყო სოციალისტური პოლიტიკისა და მენშევიკური ოპორტუნიზმისა.

მენშევიკებსაც ამ გამოცდილების ეშინიათ!

ანგორის მთავრობის წარმომადგენლების განცხადება.

მთავრობის თავმჯდომარე ტევფიკ ფაშას დეპეშა მუსტაფა ქემალისადმი.

იანვრის 28 მუსტაფა ქემალ ფაშამ ტევფიკ ფაშისაგან მიიღო დეპეშა, სადაც ნათქვამია, რომ ანტანტის სახელმწიფოები იწვევენ ოსმალეთისა და საბერძნეთის წარმომადგენლებს თებერვლის 21 კონფერენციაზე სევრის ხელშეკრულების გადასახილავათ. ანტანტის სახელმწიფოები აფრთხილებენ ტევფიკ ფაშას, რომ კონფერენციაზე უნდა გამოცხადდნენ ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების წარმომადგენლები და რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება შესდგეს კონფერენცია და განიხილონ სევრის ხელშეკრულება.

დიდი ეროვნულ კრების თავმჯდომარე მუსტაფა ქემალ ფაშის პასუხი.

მუსტაფა ქემალ ფაშამ უპასუხა ტევფიკ ფაშას, რომ თუ ანტანტის სურს დამოკიდებულება იქონიოს ანგორის მთავრობასთან, მან უნდა მიმართოს ანგორას პირდაპირ და არა კონსტანტინოპოლის საშუალებით, რადგანაც ეროვნული კრება ანგორაში იმყოფება. ცხადია, რომ ერთსა და იმავე ერს არ შეუძლია სხვა და სხვა წარმომადგენლები გააგზავნოს.

მუსტაფა ქემალ ფაშამ ტევფიკ ფაშისადმი გაგზავნილ საგანგებო დეპეშაში აღნიშნა, რომ უადგილოა მისი შუამავლობა. დადვა სოხერხებული ჟამი ეროვნული ინტერესების დაცვისა და სტამბოლის ანგორასთან გაერთიანებისა. ჩვენი პირობები შემდეგია: 1) სულთანმა თავისი „ხატ-ხიმაუნით" უნდა იცნოს ანგორის მთავრობის ეხლანდელი შემადგენლობა და მეჯლისი, 2) სულთანმა უნდა იცხოვროს სტამბოლში, მთავრობა და მეჯლისი კი ანგორაში დარჩება. 3) არ არის საჭირო, რომ იარსებოს სტამბოლის კაბინეტმა და იგი საბოლოოთ უნდა გაუქმდეს. 4) ანგორის მთავრობა თავის სრულ უფლებიან წარმომადგენლებს ნიშნავს სულთანთან სტამბოლში. 5) სტამბოლის მოსამსახურეებს ამტკიცებს ანგორის მთავრობა. 6) ეს მოლაპარაკება ოსმალეთის ხალხს ემცნო.

სომხეთი და ანგორა.

სომხეთის მთავრობამ წინააღმდეგ დროებითი ზავის პირობებისა, წინადადება მოგვცა სადგურ არარატიდან არაზდაიანისაკენ დაგვეხია, მაგრამ ჩვენ კატეგორიულათ უარვყავით ეს წინადადება.

ბეკზადიანის ნოტა.

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოგზავნა ნოტა იმ უწესოების შესახებ, რომელსაც თითქოს ასკერები სჩადიოდენ სომხების მიმართ, იმ დროს, როდესაც უწესოებას სჩადიოდა დაშნაკელთა ბანდები და ჩვენ წინადადება მოგვცეს, რომ ალექსანდროპოლი დაგვეცალა. ჩვენ ეს ნოტა უარვყავით. და სათანადო პასუხი გავეცით.

ტაშკილატ ესასიე კანუნი.

(ძირითადი კანონები). იანვრის 20 დიდმა ეროვნულმა კრებამ ანგორაში დაამტკიცა ტაშკილატ ესასიე კანუნი.

უარყოფა.

იანვრის 12 გაზ. „ელოვა" იუწყება იმის შესახებ, თითქოს დერსიმის ქურთები აჯანყდნენ ანგორის მთავრობის წინააღმდეგ. აღმოსავლეთ ფრონტის მთავარ სარდლის მონდობილობით კატეგორიულათ უარვყოფ ამ პროვოკაციულ ხმებს და ვაცხადებ, რომ დერსიმის ოლქში ისეთივე მშვიდობიანობაა, როგორც ანატოლიის სხვა ადგილებში. ამ ყალბი ხმების ავტორები თავის თავს იტყუილებენ.

(სანდონსანი).

რუსეთში

სასოფლო ყრილობის განაჩენი

(დასასრული იხ. „აქ." № 25).

10. ყველაზე დიდი უბედურება გვატყდება თავზე ჩვენ, ბეჩავ სოფლის ხალხს, იმ ვაგაპატიჟებისაგან ტყავს კურტკები რომ აცვიათ და თავის თავს საგანგებო კომისიის აგენტებს რომ უწოდებენ. ესენი ისე გვექცევიან, როგორც დამპყრობელნი დაპყრობილებს, და არც ერთი ჩვენთაგანი უზრუნველყოფილი არ არის მათი თვითნებობისა და თავქეიფობისაგან. ყველა განსაცდელის წინაშე ვდგევართ, რადგანაც ჩვენში არ არსებობს კანონი და სამართალი. მათი თავქეიფობა—აი ჩვენი კანონი!

11. ამის შემდეგ საკვირველი აღარ არის, რომ ყველა იძახის: „ახალი საბჭოთა ბატონობა დამკვიდრდაო". ბევრი გულით ნატრობს ძველ მეფეს და მის მოხელეებს ჩვენ, რომელთაც აღარ გვინდა ძველის დაბრუნება, ვერ ვამტყუნებთ მათ: მტყუნი და დამნაშავენი არიან ისინი, რომელთაც დღეს ძალა-უფლება უპყრიათ და ისე კი შეაწუხეს საბრალო სოფლის ხალხი, რომ ცხოვრება მათთვის აუტანელი შეიქმნა. ამიტომ საკმარისია გამოჩენა რომელიმე ისეთი თავზე ხელ აღებულისა, როგორიც იყვნენ კოლჩაკი, იუდენიჩი, ან დენიკინი, რომ უამრავი რიცხვი დღევანდელ მართველობის უკმაყოფილოთა მიემხროს მას და გაჩაღდეს სამოქალაქო ომი, რომელ ომის დროსაც ძმა ძმის სისხლსა ღვრის და შვილი—მამისას. ჩვენ ვაცხადებთ, რომ სული ამოგვართვა ამ ოხერმა სამოქალაქო ომმა და დაუსრულებელმა ტანჯვამ მთელ რუსეთში დაღვრილმა სისხლმა და ცრემლმა. ჩვენ ვეღარ ვუძლებთ მწუხარებას იმ მშობლებისას, რომელთა შვილებიც იბრძვიან ამ უგნურ ომში და რომელთა მოშორებაც ჰკიდებს მუშა ხელს და ანგრევს მთელ სახელმწიფოს.

12. დასასრულ, ჩვენ ვაცხადებთ კიდევ, რომ ძველი წესწყობილების შემდეგ ჩვენ მოველოდით ახალ ცხოვრებას, ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ გარდა ვიქმნებოდით ახალ არსებად, უკეთ დავდით შურსა და მტრობას, დავვიწყებდით ანგარიშებას და ვიცხოვრებდით ძმურ და, ღვთისმიერი სიყვარულითა და სინიდისიერობით. ჩვენ გვეგონა, რომ ახალი მთავრობა გაგვიძღვებოდა წინ ამ საქმეში და ზევიდგან გადმოავლენდა ნათელსა და სიკეთეს, და სამყარებლად სამართლიანობისა და კეთილსინიდისიერებისა. მაგრამ გულის ტკივილით დავრწმუნდით, რომ ზევიდან გვაწვდიან ჩვენ თავქეიფობას, თვითხვეჭიაობას, ზიზღს ადამიანის სიცოცხლისადმი, ძალმომრეობასა და სიბრიყვეს. და ნაცვლად უმანკო და უბრალო სიხარულისა, რომელიც უნდა მოენიჭებინა თავისუფლებისა და სიმართლის გამარჯვებას, ჩვენ ვხედავთ, რომ თითოეული ჩვენთაგანის გულში დაისადგურა უსაზღვრო სევდამ, განუზომელმა მძვინვარებამ და უსასტიკესმა გამეცემამ

აი, ის თორმეტი მუხლი, რომელშიაც ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ჩვენი საჩივარი, წყენანი და უკმაყოფილებანი. ჩვენ შიშით და ძრწოლით შევყურებთ ჩვენსა და ჩვენი შვილების მომავალს. ჩვენ გვეშინია, რომ იმ შეურაცხყოფამ და შევიწროებამ, რომელსაც განიცდის სოფლის მდაბიო, შავი ხალხი, რუსეთი არ ჩააგდოს უარის უბედურებაში და არ გამოიწვიოს უარესი შფოთი, აჯანყება და სისხლის ღვრა. გვენანება რა დაღვრილი სისხლი და გვებრალება რა სიცოცხლე ადამიანისა, ჩვენ ვძლევით ჩვენს ძმა—გლეხებს შემდეგ წინადადებას: ყველამ ერთად, როგორც ერთმა კაცმა, მივმართოთ ახლანდელ მთავრობას. ის ხომ თავის თავს უწოდებს გლეხთა და მუშათა მთავრობას და, მაშასადამე, იმეთაც არ უნდა ჰქონდეს ბატონობისა გარეშე აი გლეხთა და მუშათა ნება სურვისა. დაე იმანაც მიმართოს ხალხს მთელს რუსეთში მოახდინოს მთელი ერისა: ვინ არის კმაყოფილი მათი მოქმედებით და ვის სურს, რომ სახალხო კომისართა საბჭო იდგეს მართვა გამგეობის სათავეში და ვის არა სურს, ვისაც მათი მეთაურობა და ჯინ მოითხოვს, რომ საბჭომ თავისი ძალა-უფლება დაუთმოს ხალხის მიერ არჩეულთ. თუ დიდმა უმრავლესობამ მოინდომა საბჭოთა მოსპობა—



ბილეთი

მამული, ენა, ეკონომია

ეროვნულ-ფულადი

ფასს დიდი კლუტერეა, დაეთხოს ქ. № 3, ბინა 2, გოლოვინის პროსპექტის ახლო.

თბილისი „ინტელიგენტია ეკონომია“.

ეროვნულ-ფულადი

ბილეთებზე, ქვეყნის და ჯიგრის იმედენი გადასახადი, რომ ბანკირი შეზა არ ინოზეა დ., თუ ვინმეს ჩამოტანა თითო ორეული შეზა, მას ყოველ ორ ათას მანეთიან სადენი შეზა ჯიგრა ოცეთათანი მანეთი.

სად არის ხსნა? დღეს შემოდგომამ სამეგრელოში და ბანკირში და არის სიცივე, ბამთარი და არ არის მატელი მინის შალების მოსაცოცავად, ოღონ და არ გავქეს შეზა! მაგ რა ეფნიან? ნუ თუ ენდეთ ინკარის ხალხი და გადასკეკინებეს მათხოვრობად, როგორც ჭეზეს. ინ.მაოლეთის ბერძნებმა, სომხებმა და ინარაბმა?!

სად არის ხსნა, ვინ არის შეზეული და პატრონი? ნ. ფორდანის ბიბლიოთეკა დადგა, ეფორიის სოციალისტების ქალეფი ბარიეეი ერის ბაროკეი, ჩვენი მინისტრების სერიოზნა პარიზში და ლონდონში, ან ვლუბებზე ახალი გადასახადი ეკეზეა ნუ ეკეთ ეინიერ რომ საქ-ზეეს ეამოსერიტეს!

ეროდი ეკეეთ ერის ყოეთ მეფეზ-ბარეეზის სასოწარკვეთილებ

ეზე მიდეხარ.

თომა.

ᲐᲣᲪᲘᲝᲜᲘ

კვირას თებერვალის 6-ს დილის 10 საათზე „დეკორატელი“ ზალაში. რუსთაველის ქ. № 34.

ტელ. 8—512.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲠᲔᲒᲣᲚᲝ

ორშაბათს, 7 თებერვალს, დილის 12 საათზე, საადგილო მამული ბანაგში.

ᲓᲐᲜᲘᲨᲣᲚᲘᲐ ᲤᲘᲒᲠᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ

ᲙᲠᲔᲑᲐ

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲗ:

1. საკითხი ლუსუს ორსებობის შესახებ.
2. მამეორნარე საკითხები.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ: თუ ერეკა არ შესდგა ყანონიერ წეოერთა რიცხვის დაფარეკლობის გამო, შემდეგი ერეკა დანიშნეზეს, თ.ნახანდ ეე § 31 ბეს. ძალით, ამავე დღეს, სალამის 8 საათზე. ოთმეიელ ყანონიერად ნაითვლება ოამდენი წეოერეკ უნდა გამოეცხადოს.

2—0—1

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.
ᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

ამით აცხადებს, რომ იმ პირი, რომელთაც აქვთ გასესხები ხორცი და ქერი სიდნაღისა და თელავის ბაზრებში, ნება ეძლევთ ვამოიტანონ თბილისის ან სხვა საქართველოს ხაზოვრები ბაზარზე თავისუფალ ფასებში გასესხე